საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030161802238122

№ 01-61/ო **06 / თებერვალი / 2022 წ.**

საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს შექმნის შესახებ

ქვეყანაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტების, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ " საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" და ,,ჟ" ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სათათბირო ორგანო - საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭო და მისი შემადგენლობა განისაზღვროს თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №1).

2. დამტკიცდეს საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს დებულება (დანართი №2).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის N01-185/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი